ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6349813

ნომერი: AR1951721

თარიღი : 27.02.2023

გაცემის თარიღი : 09.03.2023

გაცნობის თარიღი : 09.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მახათას აღმართი, N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი მეტრეველი პ/ნ 01005044719
- თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. N 99

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მახათას აღმართი, N21 ; შპს „რეფ ენ “-ის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სამსახურის 14.02.2023 წლის №6317311 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარეკლამო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე საინფორმაციო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის საკადასტრო კოდი N 01.16.08.005.033.01.02.501, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882022966294 23/12/2022 წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, მახათას აღმართი, N21 ; შპს „რეფ ენ “-ის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სამსახურის 14.02.2023 წლის №6317311 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარეკლამო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე საინფორმაციო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე მოწყობის შესაძლებლობას.

უზრუნველყოფილ იქნას ფასადზე სარეკლამო აბრის კონსტრუქციული მდგრადობა.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.